მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრების საქმიანობის დაგეგმვის პროცესში და ანგარიშგება

ევროპული სტანდარტები

დავით ლოსაბერიძე
14 სექტემბერი, 2021

I. გარემო და მოქმედი სისტემა

XXI საუკუნის დასაწყისიდდან გამოიკვეთა საზოგადოების თვალში ხელისუფლების, როგორც ასეთის, ლეგიტიმაციის დეფიციტის მსოფლიო ტენდენცია. XX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, ცივი ომის დასრულების შედეგად ორპოლუსიანი სისტემის გაქრობის შემდეგ, ცალკეული ლოკალური ინტერესების ურთიერთ დაპირისპირება სულ უფრო და უფრო მწვავე ფორმებში ვლინდება.

ხელისუფლების ლეგიტიმაციის შესუსტება განსაკუთრებით პრობლემური ხდება კრიზისების დროს (მაგალითად I მსოფლიო ომი და "ესპანური გრიპის" პანდემია, 1929 წლის ეკონომიკური კრიზისი, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი და Covid 19-ის პანდემია). შედეგად ძლიერდება ერთი მხრივ, ხელისუფლებათა ავტორიტარული მისწრაფებები, ხოლო მეორე მხრივ, რადიკალური და პოპულისტური განწყობების ზრდა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში.

ასეთ ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის პრობლემა, ვინაიდან მთელი საზოგადოების - ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესთა ჯგუფების - ჩართულობის გარეშე შეუძლებელია მდგრადი, სტაბილური გარემოს ფუნქციონირება.

არსებულ გამოწვევაზე რეაგირების მიზნით თანდათან შემოდის მმართველობის ისეთი ფორმები, რაზეც აქცენტი წინა პერიოდში ნაკლებად მახვილდებოდა - წარმომადგენლობითი (საარჩევნო) დემოკრატია უკვე აღარ ითვლება მართვის ერთადერთ საშუალებად. პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმები (კამპანიები, სამოქალაქო ინიციატივები, საინფორმაციო პლატფორმები) სულ უფრო და უფრო ხშირად მოიაზრება მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად, რომელიც საზოგადოებაში აჩენს "საკუთრების" განცდას, ზრდის ხელისუფლების რეიტინგს და ხელს უწყობს სამოქალაქო სტაბილურობას.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 2015 წლის ანგარიში აღიარებს "ყველა დონეზე სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის, კონსულტაციისა და თანამშრომლობის ეფექტურ და მდგრად მექანიზმებს", რომლებიც "საშუალებას აძლევს ყველა ინდივიდს და საზოგადოებრივ ჯგუფს ჩაერთონ დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში".

პირდაპირი დემოკრეტიის მექანიზმებზე აქცენტის გამახვილება არ ნიშნავს, რომ დემოკრატიული ქვეყნები უარს ამბობენ წარმომადგენლობით დემოკრატიაზე. ახალი ინიციატივები პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის მექანიზმების სინერგიაა.

ვალენსიის დეკლარაცია, რომელიც ევროპის საბჭოს **მინისტრთა კომიტეტის** მიერ 2008 წლის 27-28 თებერვალს მინისტრების მოადგილეების 1019-ე შეხვედრაზე მიღებული (CM(2008)14-ad) აღნიშნული დამოკიდებულების ნათელი დადასტურებაა. მინისტრთა კომიტეტმა დააფიქსირა, რომ: "წარმომადგენლობითი და მონაწილეობითი დემოკრატია წარმოადგენს არა ერთმანეთის ალტერნატივას, არამედ ავსებენ ერთმანეთს. მონაწილეობითი მექანიზმების არსებობა

უზრუნველყოფს მოქალაქეთა მიერ არჩეულ ადგილობრივ წარმომადგენლების უკეთესად მუშაობას. ამავე დროს, მყარი სოციალური სტრუქტურა და მონაწილეობითი და კარგად სტრუქტურირებული საზოგადოება ქმნის საუკეთესო გარემოს დემოკრატიის განმტკიცებისა და ადგილობრივი წარმომადგენლების შერჩევის საფუძვლის გასაუმჯობესებლად. ამიტომ, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, ხელი შევუწყოთ მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

ეს ტენდენცია გასული ათწლეულის განმავლობაში სულ უფრო და უფრო იკვეთება. **დემოკრატიისა და მმართველობის ევროპული კომიტეტის** (CDDG) 2020 წლის 28-29 ოქტომბრის შეხვედრაზე (GT-RE(2020)6) პირდაპირ ფიქსირდება, რომ "პოლიტიკურ ინსტიტუტთა მიმართ ნდობის შემცირება, აგრეთვე ახალი მმართველობითი ინსტიტუტების გაჩენა მკაფიოდ გამოკვეთს პოლიტიკის შემქმნელთა ანგარიშვალდებულების მექანიზმების უზრუნველყოფისა და გადახედვის აუცილებლობას. საჯარო ადმინისტრირების რეფორმები იწვევს ახალ მოთამაშეთა (მუნიციპალურიასოციაციები, კვანგოები და ა.შ.) ჩართვას მართვის პროცესში. ადგილობრივი საკითხების ასეთი მრავალფეროვნება ითხოვს ანგარიშვალდებულების დიფერენცირებული მექანიზმების გამოყენებას."

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) აფიქსირებს საზოგადოებრივი მონაწილეობის სამ დონეს:

1. ინფორმირება/ცალმხრივი კავშირი - ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით, ან მოქალაქეთა მოთხოვნით ავრცელებს ინფორმაციას (საჯარო ინფორმაცია, სამთავრობო ინტერნეტ რესურსები და სხვა);
2. კონსულტირება/შეზღუდული ორმხრივი კავშირი - პოლიტიკის შემუშავებისას ხელისუფლება ითხოვს და მოქალაქეთა მხრიდან იღებს უკუკავშირს კონსულტირების შედეგად;
3. აქტიური მონაწილეობა/განვითარებული ორმხრივი ურთიერთობა - მოქალაქეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: ხელისუფლებას აწვდიან მოსაზრებებს, განიხილავენ ალტერნატივებს და გააჩნიათ გარკვეული უფლებამოსილება აქტივობების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება).

დღეისათვის არსებული ჩართულობის მრავალი თეორიიდან თუ ინსტრუმენტიდან თითოეული კონკტერულ მიზანს ემსახურება. ერთიანი, უნივერსალური მოდელი მსოფლიოში არ არსებობს. ყველა ეს აქტივობა დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივაზე და ინოვაციურ მიდგომაზე.

შესაბამისად, არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებების (კონვენციების, ქარტიების და ა.შ.) სახით გაწერილი იურიდიული რეგულირება - საერთაშორისო სამართალი სახელმწიფო მოწყობის სისტემების შერჩევის დისკრეციას ცალკეულ სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებად აღიარებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არსებობს არც გაწერილი გაიდლაინი ან რეკომენდაციების პაკეტი.

მაგალითისათვის, **დემოკრატიისა და მმართველობის ევროპული კომიტეტის** 2020 წლის 19 თებერვლის შეხვედრაზე განხილული ანგარიში ***მუნიციპალური საბჭოს წევრის სამომავლო როლი*** (CG / GOV13 (2020) 05) აფიქსირებს რომ:

- ცვლილებები განსხვავებულად ვლინდება ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში, ამიტომ არ არსებობს ერთი მოდელი. ამავე დროს მრავალფეროვნება იწვევს ახალი მიდგომების გაჩენას საზოგადოებრივი მომსახურების სხვადასხვა სფეროში, რასაც დიდი გავლენა აქვს ადგილობრივი ხელისუფლების არჩეული წევრების საქმიანობაზე;

- ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ქმნის ახალ შესაძლებლობებს მოქალაქეებთან უკეთესი კავშირის დამყარებისა და მონაწილეობითი დემოკრატიის ინიციატივებს განხორციელების მიმართულებით;
- ასეთ პირობებში მარეგულირებელი / სამართლებრივი ჩარჩო უცვლელია და ზოგადად განსაზღვრავს არჩეული პირების მიერ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინების შესაძლებლობებს შეხვედრებისა თუ სხვა ფორმების გამოყენების გზით;
- ამავე დროს, ადგილობრივი საბჭოების არჩეული წევრები დაკავშირებილების არიან ადგილობრივი ორგანიზაციების ქსელებთან, ხშირად წარმოადგენენ გარკვეულ ტერიტორიას და შესაბამისად, შეუძლიათ განახორციელონ ადგილობრივი ინტერესების ადვოკატირება;

ანგარიშის შეჯამებაში ნათქვამია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მთელ ევროპაში განიცდის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს, სადაც მომსახურების მიწოდების მოდელების ტრადიციულ იერარქიულ ფორმებს ანაცვლებს უფრო რთული ქსელური შეთანხმებები, რომელშიც მრავალი დაინტერესებული მხარე მონაწილეობს. ასეთ პირობებში ადგილობრივი ორგანოების არჩევითი წარმომადგენლების ფუნქცია ხდება ხელი შეუწყოს საზოგადოების სახვადასხვა ჯგუფების ექსკლუზიურ ჩართულობას. შესაბამისად საჭიროა საბჭოების წევრების უნარების განვითარება ამ მიმართულებით.

II. დოკუმენტები მონაწილეობასთან დაკავშირებით

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მარეგულირებელი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები, რომელთა თანახმადაც მონაწილეობა არის უფლება, რომელიც უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, დოკუმენტები ითვალისწინებს საკითხების ფართო სპექტრს (მაგ. ინფორმაციაზე წვდომა, ყველა მხარის თანასწორობა, არასამთავრობო ორგანიზაციების როლის აღიარება, ხელსაყრელი სამართლებრივი ჩარჩო).

ევროპული სტრუქტურების მიერ შემუშავებულია რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც წარმოადგენს კონკრეტული რეკომენდაციების ჩამონათვალს ან არსებული სიტუაციის შეფასების მცდელობებს. აღნიშნული არ წარმოადგენს სავალდებულოდ გასათვალისწინებელ წესებს. ყველა ეს რეკომენდაცია სავალდებულო ხდება მხოლოდ ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღების შემდეგ.

საზოგადოების ჩართულობასთან მეტნაკლებად დაკავშირებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი მოცემულია ბოლოს, ლიტერატურის ჩამონათვალში. ქვემოთ მოკლედაა მიმოხილული ზოგიერთი, შედარებით ადეკვატური დოკუმენიტის შესაბამისი ნაწილები.

"ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის უფლების თაობაზე", ("უტრეხტის ოქმი" CETS No.207, 2009,

მიღებულ იქნა 2009 წლის 16 ნოემბერს (საქართველო შეუერთდა 2019 წლის 29 მაისს), ოქმი 7 მუხლს შეიცავს და შეეხება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხს.

პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენს ევროპული თანამეგობრობის საერთო, და უპირატესი მნიშვნელობის მქონე, პრინციპს.
ხელმომწერი ქვეყნების ვალდებულებების ჩამონათვალი მოცემულია 1-3 მუხლებში:

- ადგილობრივ თვითმმართველობებს კანონმდებლობით უნდა მიენიჭოთ უფლებები, რაც უზრუნველყოფს ყველა პირის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას;
- თვითმმართველობებისათვის შესაბამისი უფლებამოსილების გადაცემის გზით, პრაქტიკაში უნდა ამოქმედდეს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება;
- შესაბამისი პროცედურებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა კატეგორიის მოქალაქის საკონსულტაციო პროცესებში ჩართვა (მოქალაქეებთან ყველაზე ახლო დონეზე); ოფიციალურ დოკუმენტებთან წვდომა; წინადადებებზე რეაგირება და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

კერძოდ, ხელმომწერი ქვეყნები თანხმდებიან შემდეგზე:
მუხლი 1. ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლება
1. მონაწილე სახელმწიფოები თავის იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლებას.
2 ადგილობრივი ხელისუფლების საქმეებში მონაწილეობის უფლება ნიშნავს ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განხორციელების განსაზღვრის ან მასზე გავლენის მოხდენის უფლებას.
მუხლი 2. მონაწილეობის უფლების განმახორციელებელი ღონისძიებები
2 მონაწილეობის უფლების გამოყენება უნდა მოიცავდეს:

I. ადგილობრივ ხელისუფლების უფლების გაძლიერებას, ხელი შეუწყოს ამ ოქმით განსაზღვრული მონაწილეობის უფლების გამოყენებას;

II. ადგილობრივ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს:

ა. შესაბამისი პროცედურები ხალხის ჩართვისთვის, რომელიც შეიძლება მოიცავდეს საკონსულტაციო პროცესებს, ადგილობრივ რეფერენდუმებსა და პეტიციებს და, თუ თვითმმართველობაში ბევრი მცხოვრებია ან/და მოიცავს დიდ გეოგრაფიულ არეალს, მათთან ახლოს მყოფი ადამიანების ჩართვის ზომებს;

გ. ღონისძიებები იმ კატეგორიის პირთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც განსაკუთრებული დაბრკოლებები აქვთ მონაწილეობის მისაღებად;

III. ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებას ამ ოქმით გათვალისწინებული მონაწილეობის უფლების პოპულარიზაციისათვის და გამოყენებისათვის.

3 პროცედურები და მექანიზმები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა კატეგორიის ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის, მათი ზომისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.

ევროკომისია

კომუნიკაცია **ევროპული საზოგადოების კომისიიდან** COM(2002) 704 final, 2002 წლის 11 დეკემბერი - ***კონსულტაციისა და დიალოგის განმტკიცებული კულტურისკენ - ზოგადი პრინციპები და დაინტერესებული მხარეების კონსულტაციის მინიმალური სტანდარტები***.

კომუნიკაცია ეფუძნება ევროპული მმართველობის თეთრ წიგნში მოცემულ პოსტულატებს, რომ "სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქალაქეთა პრობლემების გაჟღერებისა და ხალხის საჭიროებების შესაბამისად მომსახურების გაწევაში ... იგი სულ უფრო და უფრო ხედავს ევროპას, როგორც კარგ პლატფორმას, პოლიტიკის ორიენტაციისა და საზოგადოების შეცვლისთვის ... ეს რეალური შანსია, რომ მოქალაქეები უფრო აქტიურად ჩაერთონ კავშირის მიზნების მისაღწევად და შესთავაზონ მათ სტრუქტურირებული არხი უკუკავშირის, კრიტიკისა და პროტესტის ნიშნად."

აღნიშნულია, რომ კომისიამ 2001 წელს წარმოადგინა შესაბამისი პროტოკოლები ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებასთან (ეკონომიკური და სოცოალური კომისია - ESC) და რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან (რეგიონების კომიტეტი - CoR) vade-mecum თანამშრომლობის შესახებ.

დოკუმენტში წარმოდგენილი ზოგადი პრინციპებისა და მინიმალური სტანდარტების საბოლოო ვერსია (ამოქმედდა 2003 წლის 1 იანვრიდან) მოიცავს შემდეგს:

- საკონსულტაციო პროცესის მკაფიო შინაარსი - კონსულტაციასთან დაკავშირებული ყველა კომუნიკაცია უნდა იყოს მკაფიო და ლაკონური და უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას პასუხის გასაცემად.
- კონსულტაციის მიზნობრივი ჯგუფები - საკონსულტაციო პროცესში სამიზნე ჯგუფ(ებ)ის განსაზღვრისას, კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ შესაბამის მხარეებს ჰქონდეთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.
- პუბლიკაცია - კომისიამ უნდა უზრუნველყოს ცნობიერების ამაღლება და საკომუნიკაციო შესაძლებლობები ყველა სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებას.
- ვადები - კომისიამ უნდა უზრუნველყოს საკმარისი დრო დაგეგმვისა და მოსაზრებებზე პასუხის გასაცემად (8 კვირის განმავლობაში მიიღოს და უპასუხოს წერილობითი მოსაზრებებს და შეხვედრები დაანონსოს 20 სამუშაო დღის განმავლობაში).
- აღიარება და უკუკავშირი - კონტრიბუციის მიღება უნდა ეცნობოს გამომგზავნს, კონსულტაციის შედეგები უნდა გათავსდეს ერთმანეთთან დაკავშირებულ ვებ-საიტებზე.

ევროსაბჭო

მონაწილეობის გაძლიერების საკითხი შეეხება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებსაც. ევროსაბჭოში ამ მიმართულებით მუშაობს ე.წ. "კვადროლოგი": ევროსაბჭოს ანსამბლეა, მინისტრთა კომიტეტი, ადგრლობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დოკუმენტებიდან აღსანიშნავია **მინისტრთა კომიტეტის** მიერ 2001 წლის 6 დეკემბერს მინისტრების მოადგილეების 776-ე შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაცია CM/Rec(2001)19 - ***ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ***. რეკომენდაციამ ჩაანაცვლა არსებული No.R(81)18 რეკომენდაცია, რომელიც ადგილობრივ დონეზე მონაწილეობას ეხებოდა

ეს დოკუმენტი ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სფეროში პირველი რეგულაცია იყო, რომელიც საშუალებას აძლევდა ადგილობრივ ხელისუფლებებს, გამოეყენებინათ მონაწილეობის სხვადასხვა ინსტრუმენტი ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში.

მოგვიანებით (2008 წლის შემდეგ), მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და სხვა გლობალური გამოწვევების ფონზე საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) 24-ე სესიის დებატები პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მოხსენებასთან "***დემოკრატია ევროპაში - კრიზისი და პერსპექტივები***" დაკავშირებით (2010 წლის 23 ივნისი, Doc. 12279) და თანმხლები დოკუმენტები: რეზოლუცია 1746(2010)Final და რეკომენდაცია 1928(2010).

რეზოლუციაში 1746(2010)Final ანსამბლეა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს შექმნან მონაწილეობითი მექანიზმები, რათა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გაეზარდოთ პასუხისმგებლობა და ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია.

ასამბლეა აღნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გაამძაფრა დემოკრატიის კრიზისი. ევროპის ქვეყნების უმეტეს ნაწილში ამომრჩეველთა აქტივობამ იკლო (მაგალითად ევროპარლამენტის 2009 წლის არჩევნებში თავშეკავების მაჩვენებელმა 80% -ს მიაღწია). აღნიშნულის საპირისპოიროდ ხდება პოპულისტური და ექსტრემისტული მოძრაობების, ასევე და ნაციონალისტური რიტორიკის გაძლიერება.

ასამბლეა მიიჩნევს, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ტრადიციული ფორმების გარდა, რომლითაც უფრო და უფრო ნაკლები მოქალაქეა კმაყოფილი, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის სხვა ფორმებიც უნდა იქნას განხილული. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ეჭვის ქვეშ დაყენების გარეშე, ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ ეს ფორმა აღარ შეიძლება იყოს დემოკრატიის ერთადერთი გამოხატულება. შესაბამისად გამოყენებული უნდა იყოს სხვა საშუალებებიც. კერძოდ:

- უნდა შეიქმნას ურთიერთქმედების უფრო მდგრადი ფორმები მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის - გადაწყვეტილების მიღების პროცესში შემოტანილ იქნეს პირდაპირი დემოკრატიის ელემენტები;
- მონაწილეობითი დემოკრატია უნდა განმტკიცდეს, როგორც პროცესი, რომელშიც ყველა ადამიანი (და არა მხოლოდ მოქალაქეები) მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმეთა წარმართვაში, ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე;
- დემოკრატია უნდა აღვიქვათ არა მხოლოდ როგორც სისტემა ან უფლებების ჯამი, არამედ როგორც საზოგადოების ფორმა, რომელიც ითხოვს სოციალური სამართლიანობისა და გადანაწილების წესებს და გულისხმობს არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების უფლების დელეგირებას, არამედ ასევე განხილვას და ერთად ცხოვრებას ყოველდღიურ რეჟიმში;
- პოლიტიკის განახლება ასევე მოითხოვს სამოქალაქო და პოლიტიკური პასუხისმგებლობის ახალი კულტურის განვითარებას (რეაგირების, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის თვალსაზრისით).

ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

- ჩამოაყალიბონ მონაწილეობითი და სათათბირო პროცესები და სტრუქტურები (მაგალითად, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რეფერენდუმები და მოქალაქეთა კონფერენციები), რომლებიც ღია იქნება ყველასათვის და არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის;
- მოახდინონ დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტების შექმნა, გაძლიერება და პოპულარიზაცია (როგორიცაა სახალხო დამცველის ოფისები და ორგანოები, რომლებიც მუშაობენ საჯარო დოკუმენტებზე);
- გააუმჯობესონ მოქალაქეობის ცნობიერების ამაღლების პროცესი ევროპის საბჭოს *დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ* ახალი ქარტიის (რეკომენდაცია CM/Rec(2010)7) შესაბამისად;

ასამბლეა იწვევს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს, შეისწავლონ წინამდებარე ანგარიში და რეზოლუცია და უზრუნველყონ უკუკავშირი.

რეკომენდაციით 1928(2010) ასამბლეა მოუწოდებს მინისტრთა კომიტეტს, სხვა მხარეებთან (განსაკუთრებით ევროკავშირთან) ერთად, მონაწილეობა მიიღოს გლობალიზაციის რეგულირების მიზნით სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში, რაც ადამიანის უფლებების (სოციალური უფლებები, ეკოლოგიური მოცემულობისა და კანონის უზენაესობის ჩათვლით) სრული დაცვით უნდა განხორციელდეს.

III. ქცევის ნორმები და სახელმძღვანელო პრინციპები

გარდა ზოგადი დეკლარატიული სახის რეზოლუციებისა, ევროპული სტრუქტურები მუშაობენ კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მიმართულებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მონაწილეობის კარგი პრქატიკის კოდექსი.

INGOs კონფერენციის მიერ შემუშავებული - ***გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის კოდექსმა*** (2009) განსაზღვრა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის ზოგადი პრინციპები, ინსტრუმენტები და მექანიზმები. კოდექსთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტმა, 2009 წლის 21 ოქტომბერს, მინისტრების მოადგილეების 1068-ე შეხვედრაზე მიიღო დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებდა ეროვნულ ხელისუფლებას, გაეთვალისწინებინათ კოდექსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ფორმების განსაზღვრისას.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი ასევე განსაკუთრებით ინტერესდება მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით. კონგრესის მიერ 2015 წლის 20 ოქტომბერს დამტკიცებული რეზოლუცია 385(2015) - *აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის შექმნით* ყურადღებას ამახვილებს INGOs კონფერენციის მიერ შემუშავებული - *გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის კოდექსის* განახლების საჭიროებაზე.

INGO კონფერენციის მიერ მიღებული ***გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის შესწორებული კოდექსი*** (მიღებული კონფერენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ 2019 წლის 24 ივნისის). ცვლილებების აუცილებლობა განაპირობა ევროპის საბჭოს ისეთ დოკუმენტების შემუშავებამ, როგორიცაა:

- ევროპის საბჭოს კარგი მმართველობის 12 პრინციპი,
- მინისტრთა მოადგილეების 1295-ე შეხვედრაზე (2017 წლის 27 სექტემბერი) დოკუმენტით CM(2017)83 მიღებული *პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაში სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო,*
- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)4 ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის მიერ 2019 წლის 30 ოქტომბერს, 37-ე სესიაზე, INGOs კონფერენციის ***კარგი პრაქტიკის შესწორებული კოდექსის*** **განხილვა** (CG37(2019)16) და რეზოლუცია 452 (2019)2. კონგრესი, ეყრდნობოდა:

- ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (2007)14, რომელიც აღიარებს "არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების განვითარებასა და რეალიზაციაში, განსაკუთრებით საზოგადოების ინფორმირებულობის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საჯარო ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზით";
- 2009 წელს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების (INGOs) კონფერენციაზე მიღებულ, *გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის კოდექსს*, რომელსაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაჭირა მხარი;
- 2015 წელს კონგრესიას რეზოლუცია 385-ს ("აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობის შექმნით"), რომლითაც კონგრესმა სთხოვა INGO-ს კოდექსის განახლება;
- გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მე-11 (ქალაქებისა და დასახლებებისს სტაბილურობისა და მდგრადობის მიღწევა), მე-16 (მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ყველა დონეზე ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა სამართლიანობის მისაწვდომის მიზნით) და მე-17 (მდგრადი განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის აღორძინება) მიზნებს;
- 2018-2019 წლებში INGO კონფერენციასთან ერთად *გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის შესწორებული კოდექსის* შექმნა

კონგრესმა მოუწოდა მთავრობებს, მხარი დაეჭირათ სამოქალაქო მონაწილეობის კოდექსის კოდექსისათვის და ხელი შეეწყოთ მისი განხორციელებისათვის.

ქცევის კოდექსის შემუშავების პარალელურად მუშავდება საქმიანობის სახელმძღვანელო რეკომენდაციებიც, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს:

მინისტრთა კომიტეტის მიერ 2017 წლის 27 სექტემბრის მინისტრების მოადგილეების 1295-ე შეხვედრაზე (CM(2017)83-final) დამტკიცებული ***პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო*** და დანართი: ***პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის სახელმძღვანელო - რეფერირებული ტექსტების ცნობარი***.

სახელმძღვანელოს მიზანია ხელი შეუწყოს ინდივიდების და და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერებას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დოკუმენტში განსაზღვრულია სამოქალაქო მონაწილეობის საფუძვლები (თავი IV) კერძოდ აღნიშნულია, რომ:

- მონაწილეობა გარანტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტრუქტურირებული საშუალებებით, მათ შორის იურიდიული მექანიზმებით;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპი ღია უნდა იყოს სამოქალაქო მონაწილეობისთვის;
- ინფორმაცია უნდა იყოს საზოგადოებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი,
- ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული დროულად, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს შესწორებები შეიტანოს პროექტებში;
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული შემოთავაზებული ინსტრუმენტის მიზნები, მონაწილენი, პროცდურა, ვადები და მეთოდები;
- ხელისუფლებამ უნდა გაწიოს პროცესის ფასილიტაცია და თავიდან აიცილოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი;
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პროცესში ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის მაქსიმელური ჩართულობა;
- ხელისუფლების მიერ საბოლოო გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მიღებული სამოქალაქო მონაწილეობის პროცესის დასრულებამდე.

სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებად განსაზღვრულია (თავი V) ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაცია, დიალოგი და აქტიური ჩართულობა:

- *ინფორმაციის მიწოდება* - ყველა სახის ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ადვილად გასაგები ენით, ხელმისაწვდომი ფორმატით, ადმინისტრაციული დაბრკოლებების გარეშე და უფასოდ;
- *კონსულტაცია* - მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის ხედვების შეგროვებას, რაც უნდა განხორციელდეს შეხვედრების, საჯარო მოსმენების, ფოკუს ჯგუფების, გამოკითხვების და ციფრული საშუალებებით. კონსულტაციის შედეგები და ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება საჯარო უნდა იყოს;
- *დიალოგი* - უნდა არსებობდეს სტრუქტურირებული, გრძელვადიანი და შედეგზე ორიენტირებული პროცესი, მონაწილე მხარების მიერ შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა პლატფორმების - მუდმივი დიალოგის სივრცის შექმნა (რეგულარული საჯარო განხილვები, ფორუმები, საკონსულტაციო საბჭოები და ა.შ.);
- *აქტიური მონაწილეობა* - გულისხმობს მოქალაქეთა შესაძლებლობას, ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში (სამუშაო ჯგუფები, კომიტეტები და ა.შ.). ასეთი სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცდურები გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპისათვის.

მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს:

- მაქსიმალურად გამოიყენონ სახელმძღვანელო მითითებები და უზრუნველყონ მათი გავრცელება;
- საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ ან შეცვალონ ნებისმიერი რეგულაცია და ქმედება, რათა საჯარო ხელისუფლებამ გამოიყენოს ეს სახელმძღვანელო მითითებები;
- ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ კანონებისა და რეგულაციების შესრულების შეფასების პროცესში.

მინისტრთა კომიტეტმა შეიძლება სთხოვოს ევროპის საბჭოს სტრუქტურებს (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა - PACE; ადამიანის უფლებათა კომისარი, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი - CLRA; კანონის მეშვეობით დემოკრატიის ევროპულ კომისიას ("ვენეციის კომისია"); დემოკრატიისა და მმართველობის ევროპულ კომიტეტი - CDDG, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენცია - INGOs) მონაწილეობა მიიღონ სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და სახელმწიფოებში შესაბამისი საქმიანობის შეფასების პროცესში.

მინისტრთა კომიტეტის მიერ 2018 წლის 21 მარტის მინისტრების მოადგილეების 1311-ე შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაცია CM/Rec(2018)4 - ***საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ***. რეკომენდაცია მოიცავს ძირითად პრინციპებს და კონკრეტულ ნაბიჯებს სახვადასხვა მიმართულებით. მ.შ. აღსანიშნავია:

<u>ა. მონაწილეობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები</u>

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

2. მოძებნონ ახალი გზები სამოქალაქო შეგნების ასამაღლებლად და თემებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის პოპულარიზაციისთვის;

3. წაახალისონ მოქალაქეები, აიღონ პასუხისმგებლობა და წვლილი შეიტანონ თავიანთი თემების ცხოვრებაში;

12. აღიარონ მოქალაქეთა ჯგუფების, როგორც მონაწილეობის კულტურის განვითარებაში ძირითადი პარტნიორების როლი.

<u>ბ. ეტაპები და მექანიზმები</u>

I. ზოგადი ნაბიჯები
3. ადგილობრივმა ხელისუფლებებმა სამეზობლო დონეზე უნდა დანერგონ მონაწილეობითი მექანიზმები;
6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაქსიმალური გამჭვირვალობა ხელისუფლების საქმიანობაში (გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ღიაობა, მოქალაქეთა წვდომა ინფორმაციაზე და ა.შ.);
7. განხორციელდეს სრულფასოვანი საკომუნიკაციო პოლიტიკა, რათა მოქალაქეებმა შეძლონ გააცნობიერონ ხელისუფლების გადაწყვეტილებების შედეგები.
<u>III ნაბიჯები მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისების მიზნით</u>
5. მოქალაქეებს მიეცით მეტი შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ სტრატეგიულ და გრძელვადიან გადაწყვეტილებებზე (მონაწილეობა პროგრამების განხორციელების ყველა ეტაპზე, საზოგადოებისთვის იოლად აღსაქმელი მასალის საშუალებით;
6. შეიქმნას უკუკავშირის სისტემური მექანიზმები (გამოკითხვები, მომხმარებლის პანელები და ა.შ.);
9. შეიქმნას მონაწილეობითი სტრუქტურები სამეზობლოებში, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს გავლენა მოახდინონ მომსახურების მიწოდების პროცესზე, აიღონ პასუხისმგებლობა ადგილობრივი ფართების, ობიექტების მენეჯმენტზე და ა.შ.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის 40-ე სესიაზე (2021 წლის 24 მარტი) განხილული ანგარიში CG(2021)40-07final - ***კრიზისულ სიტუაციებში ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის პატივისცემის უზრუნველყოფა*** და თანმხლები დოკუმენტები: რეზოლუცია 466(2021) და რეკომენდაცია 453(2021).

განმარტებით მემორანდუმში (CG(2021)40-07fina) აღნიშნავს, რომ პანდემიის პირობებში გამოყენებული ციფრული მონაწილეობა უნდა იყოს გამარტივებული, რამდენადაც ეს აუცილებელი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უთანასწორობის გათვალისწინებით, რომელიც ევროსაბჭოს თითოეული წევრი ქვეყნის რეალობაში არსებობს.

კონგრესის რეზოლუციაში 466(2021) აღნიშნულია, რომ COVID-19 პანდემიამ გამოავლინა უფრო ეფექტური მრავალმხრივი თანამშრომლობა საჭიროება და რომ მრავალდონიანი მმართველობა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის პრინციპების შესაბამისად. დიგიტალიზაცია და ციფრულ ფორმატში განხორციელებული "ონლაინ დემოკრატიაში" შეიძლება იქცეს ადგილობრივი გამჭვირვალობის გაზრდისა და ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობად, იმ პირობით, რომ ამ სფეროში ყველა ცვლილება დაეფუძნება თანასწორობისა და ინკლუზიურობის დემოკრატიულ პრინციპს და შეესაბამისობაში იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის დამატებითი ოქმის დებულებებთან.

კონგრესის რეკომენდაცია 453(2021) მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ საზოგადოების ონლაინ მონაწილეობას, როგორც მონაწილეობის უფრო ტრადიციული ფორმების შემავსებელი მექანიზმს, წვდომაზე თანასწორობის პრინციპის დაცვით;

გარდა კარგი პრაქტიკის კოდექსის და სახელმძღვანელო რეკომენდაციებისა, ყურადღება მახვილდება საქმიანობის პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებაზეც.

მინისტრთა კომიტეტის მიერ 2009 წლის 18 თებერვალს მინისტრების მოადგილეების 1049-ე შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაცია CM/Rec(2009)1 - ***ელექტრონული დემოკრატიის შესახებ*** და მიღებული დოკუმენტი - რეკომენდაცია CM/Rec(2009)1-ის დანართი - *ელექტრონული დემოკრატიის პრინციპები.*

რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტზე (WSIS, ჟენევა-2003 და ტუნისი-2005) აღიარებულია ყველას უფლება, მიიღოს სარგებელი ინფორმაციული საზოგადოებიდან. მონაწილე სახელმწიფოები გამოთქვამენ სურვილს, ხელი შეუწყონ ინკლუზიური, და ადამიანებზე და განვითარებაზე ორიენტირებულ ინფორმაციული საზოგადოების შექმნას, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, აგრეთვე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უნივერსალურობას, განუყოფელობას, ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთმიმართებას.

მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

- განიხილონ ელექტრონული დემოკრატიის გამოყენების შესაძლებლობები დემოკრატიის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული პროცესების გაძლიერების პროცესში;
- დანერგონ ელექტრონული დემოკრატიის ფორმები, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მეშვეობით დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერის საშუალება, რაც უკავშირდება დემოკრატიიულ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობასა და ხელახალ ჩართვას.

IV. პერსპექტივები

ზემოხსენებული დოკუმენტები არ წარმოადგენს ყოვლისმომცველ ჩამონათვალს. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ ხედვები ამჟამადაც განიცდის ტრანსფორმაციას და საბოლოო ხედვების ჩამოყალიბებამდე კიდევ სერიოზული სამუშაოს ჩატარებაა საჭირო.

აღნიშნულის მაგალითად გამოდგება **მინისტრთა კომიტეტის** მიერ 2021 წლის 7 აპრილს განხილული, **დემოკრატიისა და მმართველობის ევროპული კომიტეტის** მიერ მომზადებული რეკომენდაციების პროექტი - ***რეგიონული დონეზე არჩეული თანამდებობის პირებისა და ორგანოების დემოკრატიული ანგარიშვალდებულების საკითხებზე*** (CDDG(2021)7).

მემორანდუმი ითვალისწინებს ისეთ დოკუმენტებს, როგორიცაა:

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)4 - *ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ* და სახელმძღვანელო მითითებები სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში;
- *ვალენსიის დეკლარაცია* და *სტრატეგია ადგილობრივ დონეზე ინოვაციებისა და კარგი მმართველობის შესახებ*, მათ შორის *კარგი დემოკრატიული მმართველობის 12 პრინციპი* (რეკომენდაცია CM/Rec(2019)3), მიღებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კონფერენციის მე -15 სესიაზე (2007 წლის 15-16 ოქტომბერი);
- ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის მმართველი კომიტეტის (CDLR) ადრეული კვლევა ადგილობრივ დონეზე არჩეულ წარმომადგენელთა ანგარიშვალდებულებებთან დაკავშირებით (1998).

დოკუმენტის დანართში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებების პროექტი ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე არჩეული წარმომადგენლებისა და არჩეული ორგანოების ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. რეკომენდაციებს შორის აღსანიშნავია ისეთი ქმედებების განხორციელება, შომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება:
ა. გამჭვირვალობა, ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომა და საზოგადოების მონაწილეობა

- ინფორმაციის კომუნიკაციის პრინციპების დაცვა, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის საბჭოს კონვენციაში ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ (CETS No 205) და შესაძლებლობა მოქალაქეებისათვის, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე ან პირადად მათზე;
- ახალი გზები ანგარიშვალდებულების კულტურისა და დემოკრატიული მონაწილეობის კულტურის პოპულარიზაციისათვის ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

ბ. ტრენინგი და ცნობადობის ზრდა

- 2. საზოგადოება და თავად არჩეული ორგანოები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი განსახორციელებელი საქმიანობის დამტკიცების ან უარყოფის შესახებ.

გ. წესების ხარისხი

- 2. განმარტებით დოკუმენტებსა და მითითებების შექმნა, სადაც აღწერილი იქნება კონკრეტული შემთხვევებით და რეგულარულად განახლდება.

II პოლიტიკური ანგარიშვალდებულება - ამ შემთხვევაში დოკუმენტი ძირითადად ემყარება ვენეციის კომისიის მონაცემებს.

IV მენეჯერული ანგარიშვალდებულება (წევრი სახელმწიფოებისათვის):

- 2. კანონმდებლობის ან რეგულაციების, ცირკულარებისა და წამახალისებელი პოლიტიკის საშუალებით კარგი მმართველობის წახალისება (სტრატეგიების შექმნა, შიდა კონტროლის მექანიზმები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მონაცემთა და გადაწყვეტილებების ხარისხი, რისკების მართვა, სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადობა და გრძელვადიანი პერსპექტივები, ანგარიშვალდებულება);
- 6. ანგარიშვალდებულების ორგანიზაციული ჩარჩოს განსაზღვრა (სტრუქტურები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შექმნილი ან მართულია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მიერ - კვანგოები, ნახევრად საზოგადოებრივი კომპანიები, პარა-საზოგადოებრივი ასოციაციები და ა.შ.) შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით.

V. ლიტერატურა

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ზოგიერთი დოკუმენტი / რეკომენდაცია. რაც შეეხება მონაწილეობის საკითხებს (არასრული ჩამონათვალი)

Council of Europe

Council of Europe Conventions

1. European Convention on the Recognition of the Legal Personality of International Non-Governmental Organisations, ETS No. 124
2. Convention on the Participation of Foreigners in Public Life at Local Level, ETS No. 144
3. European Social Charter (revised), ETS No. 163

Parliamentary Assembly (PACE) - Resolutions

4. Resolution 1353 (2003) on the future of democracy: strengthening democratic institutions
5. Resolution 1589 (2007) on co-operation between the Assembly and the Conference of INGOs
6. Resolution 1746 (2010) on "Democracy in Europe: crisis and perspectives" (and Doc.12279 - report of the Political Affairs Committee: Assembly debate on 23 June 2010 (24th Sitting))
7. Resolution (2096) on How can inappropriate restrictions on NGO activities in Europe be prevented?"

Parliamentary Assembly (PACE) - Recommendations

8. Recommendation 1864 (2009) on promoting the participation by children in decisions affecting them

9. Recommendation 1928 (2010) on Democracy in Europe: crisis and perspectives (Final version)
10. Recommendation 2086 (2016) "How can inappropriate restrictions on NGO activities in Europe be prevented?"

Congress of Local and Regional Authorities

11. Priorities of the Congress 2017-2020
12. Youth work: the role of local and regional authorities, CG-FORUM(2021)01-02final 12 February 2021
13. 2021-2026 Priorities of the Congress of Local and Regional Authorities, CG (2021)40-05, 23 March 2021
14. Ensuring the respect of the European Charter of Local Self-Government in major crisis situations, CG(2021)40-07final, 24 March 2021

Congress of Local and Regional Authorities - Resolutions

15. Resolution 165 (2003) on NGOs and local and regional democracy
16. Resolution 385(2015) on "Fostering active citizenship by building partnerships with civil society"
17. Resolution 435 (2018) on Transparency and open government
18. Resolution 452 (2019) on Revised Code of Good Practice for Civil Participation in the Decision-making Process

Congress of Local and Regional Authorities - Recommendations

19. Recommendation128 (2003) on The revised European Charter on the participation of young people in local and regional life (21 May 2003)
20. Recommendation 139 (2003) on NGOs and local and regional democracy
21. Recommendation 424 (2018) on "Transparency and open government"
22. Recommendation 450 (2021) on Youth work: the role of local and regional authorities
23. Recommendation 453 (2021) on Ensuring the respect of the European Charter of Local Self-Government in major crisis situations

Conference of INGOs

24. Conference of INGOs of the Council of Europe, Code of Good Practice for Civil Participation in the Decision Making Process, CONF/PLE(2009)CODE1, 1 October 2009
25. Conference of INGOs of the Council of Europe, Non-Governmental Organisations: Review of Developments in Standards, Mechanisms and Case Law 2013-2015, OING Conf/Exp (2015)
26. Conference of INGOs of the Council of Europe, Expert Council on NGO Law, Regulating Political Activities of Non-governmental Organisations, 2015

Secretary General

27. Secretariat General, Code of good practice on civil participation. Background paper prepared by the Secretariat for the meeting of the Civil Society and Democracy grouping, 2008

Committee of Ministers

28. Valencia Declaration: Strategy for Innovation and Good Governance at Local Level, Conference of European Ministers responsible for local and regional government, CM(2008)14-add, 15-16 October 2007
29. Declaration: Making gender equality a reality, CM(2009)68-final
30. Declaration on the Code of Good Practice for Civil Participation in the Decision-Making Process, the 1068th meeting of the Ministers' Deputies, 21 October 2009
31. Guidelines for civil participation in political decision making, CM(2017)83-final, Adopted by the Committee of Ministers on 27 September 2017 at the 1295th meeting of the Ministers' Deputies, 27 September 2017

Committee of Ministers - Resolutions

32. Resolution Res(2003)7 on youth policy at the Council of Europe
33. Resolution 463 (2021) on Youth work: the role of local and regional authorities
34. Resolution 465 (2021) on 2021-2026 Priorities of the Congress of Local and Regional Authorities
35. Resolution 466 (2021) on Ensuring the respect of the European Charter of Local Self-Government in major crisis situations

Committee of Ministers - Recommendations

36. Recommendation CM/Rec (97)3 on youth participation and the future of civil society
37. Recommendation Rec(2001)19 on the Participation of Citizens in Local Public Life, Adopted by the Committee of Ministers at the 776th meeting of the Ministers' Deputies, 6 December 2001
38. Recommendation Rec(2003)3 on balanced participation of women and men in political and public decision-making
39. Recommendation CM/Rec (2004)13 on the participation of young people in local and regional life
40. Recommendation Rec(2004)15 on electronic governance ("e-governance")
41. Recommendation Rec(2006)1 on the role of national youth councils in youth policy development
42. Recommendation Rec(2006)14 on citizenship and participation of young people in public life, Adopted by the Committee of Ministers at the 978th meeting of the Ministers' Deputies, 25 October 2006
43. Recommendation CM/Rec(2007)2 on media pluralism and diversity of media content
44. Recommendation CM/Rec(2009)1 on electronic democracy (e-democracy), Adopted by the Committee of Ministers at the 1049th meeting of the Ministers' Deputies, 18 February 2009
45. Recommendation CM/Rec(2009)2 on the evaluation, auditing and monitoring of participation and participation policies at local and regional level, Adopted by the Committee of Ministers at the 1050th meeting of the Ministers' Deputies, 11 March 2009
46. Recommendation CM/Rec(2011)14 on the participation of persons with disabilities in political and public life, Adopted by the Committee of Ministers at the 1126th meeting of the Ministers' Deputies, 16 November 2011
47. Recommendation CM/Rec(2012)2 on the participation of children and young people under the age of 18
48. Recommendation CM/Rec(2015)3 on the access of young people from disadvantaged neighbourhoods to social rights
49. Recommendation CM/Rec(2018)4 on the participation of citizens in local public life, Adopted by the Committee of Ministers at the 1311th meeting of the Ministers' Deputies, 21 March 2018
50. Recommendation CM/Rec(2018)11 on the need to strengthen the protection and promotion of the civil society space in Europe, 28 November 2018

European Commission for Democracy through Law (Venice Commission)

Organisation for Security and Cooperation in Europe (OSCE)

51. OSCE-ODIHR Recommendations on Enhancing the Participation of Associations in Public Decision-Making Processes from the Participants to the Civil Society Forum Organised on the Margins of the 2015 Supplementary Human Dimension Meeting on Freedoms of Peaceful Assembly and Association, HDIM.NGO/0033/15, April 2015

European Union

52. White Paper on European Governance, Commission of the European Communities COM(2001) 428, 2001

United Nation (UN)

UN - General Assembly

53. Sustainable Development Goals (SDG) of the United Nations 2030 Agenda for Sustainable Development

UN Human Rights Council

54. Resolution on Civil society space, A/HRC/RES/27/31, 3 October 2014
55. Study on best practices, experiences and challenges and ways to overcome them with regard to the promotion, protection and implementation of the right to participate in public affairs in the context of the existing human rights law, A/HRC/30/26, 23 July 2015
56. Resolution on Equal participation in political and public affairs, A/HRC/RES/30/9, 12 October 2015

OECD

57. OECD Recommendation of the Council on Open Government (2017)